

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №590

2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

მუხლი 1. გამოყენების სფერო და საგანი

1. „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები“ (შემდგომში – რეგლამენტი) შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებიდან გამომდინარე და ადგენს სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მიმართ მინიმალურ მოთხოვნებს.

2. რეგლამენტი ვრცელდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სამუშაო სივრცეზე (მათ შორის, სამუშაო სივრცეზე სტაჟირების გავლის შემთხვევაში).

3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებად არ მიიჩნევა:

ა) ჩვეულებრივი სამუშაო ტანსაცმელი და უნიფორმა, რომელიც დასაქმებულთა და სხვა პირთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისთვის არ არის განკუთვნილი;

ბ) გადაუდებელი დახმარებისა და სამაშველო სამსახურების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებსაც იყენებენ ან ატარებენ სამხედროები, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა სამსახურები;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებში მუშაობისას გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

ე) სპორტული აღჭურვილობა;

ვ) თავდაცვითი და შემაკავებელი აღჭურვილობა;



ზ) მობილური მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება რისკებისა და საფრთხეების აღმოსაჩენად და სიგნალიზაციისთვის.

4. დამსაქმებელს შეუძლია, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი დაწესებულების რისკის დონის გათვალისწინებით, შეიმუშაოს რეგლამენტზე უფრო მაღალი სტანდარტი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. რეგლამენტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები** – ნებისმიერი საშუალება, რომელსაც იყენებს ან ატარებს დასაქმებული ან/და სხვა პირი სამუშაო სივრცეში საფრთხის ან საფრთხეებისგან დასაცავად, ასევე – ნებისმიერი დამატებითი საშუალება ან აღჭურვილობა, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება;

ბ) **დამსაქმებელი** – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება;

გ) **დასაქმებული** – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე;

დ) **სხვა პირი** – პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;

ე) **საფრთხე** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება, ზიანი მიყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

ვ) **რისკი** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით.

2. რეგლამენტში გამოყენებულ სხვა ტერმინთა განმარტებისას უპირატესად გამოიყენება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

მუხლი 3. ზოგადი დებულება

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიური დაცვის ტექნიკური საშუალებებით ან სამუშაო ორგანიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებებით, მეთოდებით ან პროცედურებით შეუძლებელია საფრთხეების თავიდან აცილება ან ვერ ხერხდება რისკების საკმარისად შემცირება.

მუხლი 4. დამსაქმებელთა ზოგადი ვალდებულებები

1. კონკრეტული სამუშაო პროცესების რისკების შეფასების გათვალისწინებით, დამსაქმებელმა დასაქმებულები, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

2. დამსაქმებელმა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა უნდა განსაზღვროს დასაქმებულის პროფესიის გათვალისწინებით და დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია მათი გამოყენების ზოგადი



წესის შესახებ.

3. დამსაქმებელმა დასაქმებულსა და სხვა პირებს უსასყიდლოდ უნდა მიაწოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, აგრეთვე უზრუნველყოს მათი გამართული ფუნქციონირება და სათანადო ჰიგიენური პირობების დაცვა შესაბამისი მოვლის, შეკეთებისა და შეცვლის გზით.
4. სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული რისკები/საფრთხეები, რომელთაგანაც დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, მოცემულია ამ რეგლამენტის №1 დანართში.
5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სამუშაო აქტივობების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფს რისკებისგან/საფრთხეებისგან დაცვას და რომელთა განხორციელებისას უნდა მოხდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, მოცემულია ამ რეგლამენტის №2 და №3 დანართებში, ხოლო, არსებული სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული რისკების შეფასების საფუძველზე გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევის ფორმა – ამ რეგლამენტის №4 დანართში.
6. დასაქმებული, რომლის სამუშაო იწვევს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხშირ დაბინძურებას, დამსაქმებლის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. აღნიშნული სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 – მე-6 პუნქტების მოთხოვნებს.
7. დამსაქმებელმა უნდა გააკონტროლოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სათანადოდ გამოყენება.
8. იმ სამუშაო სივრცეში, სადაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება სავალდებულოა, დამსაქმებელმა არ უნდა დაუშვას არცერთი პირი შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე.

მუხლი 5. ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, უნდა აკმაყოფილებდეს რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ინდივიდუალური დაცვის ყველა საშუალება უნდა:
 - ა) შეესაბამებოდეს არსებულ საფრთხეებს და, თავის მხრივ, მისი გამოყენება არ უნდა იწვევდეს რაიმე სახის რისკის ზრდას;
 - ბ) შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში არსებულ პირობებს;
 - გ) ითვალისწინებდეს ერგონომიკის მოთხოვნებსა და დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას;
 - დ) სათანადოდ ერგებოდეს დასაქმებულსა და სხვა პირს, ნებისმიერი საჭირო რეგულირების შემდეგ.
3. იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტი საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სხვა პირის მიერ ერთდროულად გამოიყენება რამდენიმე ინდივიდუალური დაცვის საშუალება, ამგვარი საშუალებები უნდა იყოს ერთმანეთთან თავსებადი და ინარჩუნებდეს ეფექტიანობას კონკრეტულ რისკ(ებ)თან მიმართებით.
4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების პირობები, კერძოდ კი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის უნდა გამოიყენებოდეს, უნდა განისაზღვროს რისკის დონის, რისკის ზემოქმედების სიხშირის, თითოეული დასაქმებულისა და სხვა პირის სამუშაო ადგილისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მახასიათებლების საფუძველზე.



5. სამუშაო ადგილებზე დასაქმებულები ან/და სხვა პირები უმეტესწილად უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ პერსონალური გამოყენების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მოხდება ერთზე მეტი პირის მიერ, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დასაქმებულთა ან/და სხვა პირთა ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა.

6. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უმეტესწილად გამოიყენება მხოლოდ დანიშნულებისამებრ, ინსტრუქციის შესაბამისად, გარდა განსაკუთრებული და საგამონაკლისო შემთხვევებისა.

7. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქციები დასაქმებულთა და სხვა პირთათვის უნდა იყოს მარტივად აღსაქმელი და მიწოდებული მათთვის გასაგებ ენაზე.

მუხლი 6. რისკების შეფასება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევას

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევამდე დამსაქმებელი აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნული საშუალებები ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეფასება მოიცავს:

ა) იმ რისკების ანალიზსა და შეფასებას, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია სხვა საშუალებებით;

ბ) იმ მახასიათებლების განსაზღვრას, რომლებიც უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებას ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საფრთხეებთან ეფექტიანად გამკლავებისთვის, თვით ამ საშუალებების გამოყენებით წარმოქმნილი ნებისმიერი რისკის გათვალისწინებით;

გ) არსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შედარებას ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება გადაიხედება, თუ მის რომელიმე ელემენტში შედის რაიმე სახის ცვლილება.

მუხლი 7. ინფორმირება, სწავლება, კონსულტაცია და ჩართულობა

1. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, მიაწოდოს დასაქმებულებს, სხვა პირებს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლებს ადეკვატური ინფორმაცია და ინსტრუქციები ინდივიდუალური დაცვის საშუალების თითოეული დეტალისა და მათი გამოყენების წესის შესახებ და უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების თითოეული დეტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა საწარმოს ან/და დაწესებულების შიგნით;

ბ) წინასწარ აცნობოს დასაქმებულებსა და სხვა პირებს იმ საფრთხე(ებ)ის შესახებ, რომლისგანაც/რომლებისგანაც იცავს მათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

გ) დასაქმებულებსა და სხვა პირებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზება გაუწიოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ პრაქტიკულ სწავლებებს.

2. დასაქმებულებთან, სხვა პირებთან ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციები და მათი ჩართულობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და რეგლამენტით განსაზღვრული სხვა ადჰურვილობის შერჩევის, მიწოდების, გამოყენებისა და მოვლის პროცესში ხორციელდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

3. დასაქმებულები და სხვა პირები ვალდებული არიან, მათთვის გამოყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენონ ისე, როგორც ეს განსაზღვრულია დამსაქმებლისა და მწარმოებლის



ინსტრუქციებით.



ა.ზ) ქიმიური საფრთხეები;

ა.თ) არამაიონიზირებელი გამოსხივება (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, მზის ან შედუღების გამოსხივება);

ბ) თმის ბადეები ჩათრევის რისკის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 2. სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები

სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები შეიძლება იყოს:

ა) ხმაურის დამხშობი ყურსაცმები (მათ შორის, მაგ.: ჩაფხუტზე დამაგრებული ყურსაცმები, არსებული ხმაურის შემამცირებელი ყურსაცმები, ელექტრო აუდიო ყურსაცმები).

ბ) ყურსადებები (მათ შორის, მაგ.: ხმაურის დონის შესაბამისი ყურსადებები, პიროვნებაზე მორგებული ყურსადებები).

მუხლი 3. თვალისა და სახის დამცავი საშუალებები

თვალისა და სახის დამცავი საშუალებები შეიძლება იყოს სათვალე, დამცავი სათვალე (რომელიც გვერდებზე დახურულია) და სახის ფარები (საჭიროების შემთხვევაში, ექიმის მიერ გამოწერილი ლინზები), რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას:

ა) მექანიკური საფრთხეებისგან;

ბ) თერმული საფრთხეებისგან;

გ) არამაიონიზირებელი გამოსხივებისგან (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, მზის ან შედუღების გამოსხივება);

დ) მაიონიზირებელი გამოსხივებისგან;

ე) მყარი აეროზოლებისა და თხევადი ქიმიური და ბიოლოგიური აგენტებისგან.

მუხლი 4. სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები

სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები შეიძლება იყოს:

ა) მფილტრავი მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაწილაკების ან/და აირების, მყარი ან/და თხევადი აეროზოლების რისკებისგან დაცვას;

ბ) საიზოლაციო მოწყობილობები, ჰაერის მომწოდებელი მოწყობილობების ჩათვლით;

გ) თვითმაშველი მოწყობილობები;

დ) ჩასაყვინთი მოწყობილობები.

მუხლი 5. ხელისა და მკლავის დამცავი საშუალებები

ხელისა და მკლავის დამცავი საშუალებები შეიძლება იყოს:

ა) ხელთათმანები (მათ შორის ცალთითა და მკლავის დამცავი ხელთათმანები), რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას:

ა.ა) მექანიკური საფრთხეებისგან;

ა.ბ) თერმული საფრთხეებისგან (სიცხე, ალი და სიცივე);

ა.გ) ელექტრო საფრთხისა და ძაბვისგან (ანტისტატიკური, გამტარი, იზოლირებული);

ა.დ) ქიმიური საფრთხეებისგან;

ა.ე) ბიოლოგიურ აგენტებთან დაკავშირებული საფრთხეებისგან;

ა.ვ) მაიონიზირებელი გამოსხივებისა და რადიოაქტიური დაბინძურებისგან;

ა.ზ) არამაიონიზირებელი გამოსხივებისგან (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, მზის ან შედუღების გამოსხივება);

ა.თ) ვიბრაციისგან.

ბ) თითების დამცავები (სათითურები).

მუხლი 6. ტერფისა და ფეხის დამცავი და მოცურების საწინააღმდეგო საშუალებები

ტერფისა და ფეხის დამცავი და მოცურების საწინააღმდეგო საშუალებები შეიძლება იყოს:

ა) ფეხსაცმელები (მაგ.: ფეხსაცმელები, მათ შორის ხისძირიანი ფეხსაცმელები, მაღალყელიანი ფეხსაცმელები, რომელთაც გააჩნიათ მეტალის დამცავი ჩანართი), რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას:

ა.ა) მექანიკური საფრთხეებისგან;

ა.ბ) მოცურებისგან;

ა.გ) თერმული საფრთხეებისგან (სიცხე, ალი და სიცივე);

ა.დ) ელექტრო საფრთხისა და ძაბვისგან (ანტისტატიკური, გამტარი, საიზოლაციო);

ა.ე) ქიმიური საფრთხეებისგან;

ა.ვ) ვიბრაციისგან;

ა.ზ) ბიოლოგიური საფრთხეებისგან;

ბ) ფეხსაცმლის მოსახსნელი ლანჩები ტერფის მექანიკური საფრთხეებისგან დასაცავად;

გ) სამუხლე ბალიშები მექანიკური საფრთხეებისგან დასაცავად;

დ) გამაშები მექანიკური, თერმული და ქიმიური რისკებისგან და ბიოლოგიური აგენტებისგან დასაცავად;

ე) აქსესუარები (მაგ.: შვერილები, წვეტები).

მუხლი 7. კანის დამცავი საშუალებები - დამცავი საცხი

დამცავი საცხი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი საფრთხეებისგან დასაცავად:

ა) არამაიონიზირებელი გამოსხივება (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, მზის ან შედუღების გამოსხივება);

ბ) მაიონიზირებელი გამოსხივება;

გ) ქიმიური ნივთიერებები;

დ) ბიოლოგიური აგენტები;

ე) თერმული საფრთხეები (სიცხე, ალი და სიცივე).

მუხლი 8. სხეულის დამცავი/კანის დამცავი სხვა საშუალებები

სხეულის დამცავი/კანის დამცავი სხვა საშუალებები შეიძლება იყოს:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სიმაღლიდან ვარდნის პრევენციისთვის, როგორცაა ჩამკეტიანი კაუჭები (კარაბინი) ვარდნის პრევენციისთვის, მთლიანი სხეულის დამცავი ღვედები, ჩასაჯდომი უსაფრთხოების ღვედები, ქამრები სამუშაოს პოზიციონირებისა და შეზღუდვისთვის და სამუშაოს პოზიციონირებისთვის საჭირო თასმები, ენერჯის მშთანთქავი მოწყობილობები, მოძრავი მოწყობილობები ვარდნის პრევენციისთვის, მათ შორის ანკერი, თოკის დასარეგულირებელი დანადგარები, სამაგრი მოწყობილობები, რომლებიც არ არის გამიზნული მუდმივი ფიქსირებისთვის და რომლებიც არ საჭიროებს დამაგრებას გამოყენებამდე, კონექტორები, თასმები, სამაშველო აღკაზმულობა;

ბ) დამცავი ტანსაცმელი, მათ შორის მთელი სხეულის (ე.ი. კოსტიუმები, სპეცტანსაცმელი) და სხეულის ნაწილის (ე.ი. გამაშები, შარვალი, ქურთუკები, ჟილეტები, წინსაფრები, სამუხლე ბალიშები, ჰუდები, ბალაკლავები), რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას:

ბ.ა) მექანიკური საფრთხეებისგან;

ბ.ბ) თერმული საფრთხეებისგან (სიცხე, ალი და სიცივე);

ბ.გ) ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საფრთხეებისგან;

ბ.დ) ბიოლოგიურ აგენტებთან დაკავშირებული საფრთხეებისგან;

ბ.ე) მაიონიზირებელი გამოსხივებისა და რადიოაქტიური დაბინძურებისგან;

ბ.ვ) არამაიონიზირებელი გამოსხივებისგან (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, მზის ან შედუღების გამოსხივება);

ბ.ზ) ელექტრო საფრთხისა და ძაბვისგან (ანტისტატიკური, გამტარი, საიზოლაციო);

ბ.თ) ჩათრევა და ჩაყოლისგან;

გ) სამაშველო ჟილეტები ტივტივისათვის, ასევე დახრჩობისგან დასაცავად;

დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მომხმარებლის გარკვეულ სივრცეში ყოფნის შესახებ სიგნალის გასაცემად.

დანართი №3

საქმიანობისა და საქმიანობის სფეროების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას

(*) წინამდებარე რეგლამენტის დებულებების თანახმად, რისკების შეფასებით განისაზღვრება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიწოდების საჭიროება და მისი მახასიათებლები.

I. ფიზიკური საფრთხეები

რისკები/საფრთხეები	სხეულის ნაწილები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სახეობა	საქმიანობები, სადაც შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (*)	მრეწველობა და სექტორი
ფიზიკური - მექანიკური			

<p>საგნის დაცემით ან ამოგარდნით, წინაღობებთან შეჯახებით და მაღალი წნევის ჭავლით გამოწვეული დაზიანება</p>	<p>თავის ქალა</p> <p>დამცავი ჩაფხუტი</p>	<p>ხარაჩოებისა და ამაღლებული სამუშაო ადგილების ქვეშ ან მის მიმდებარედ მუშაობა, ასევე მათზე მუშაობის დროს არმატურის კარკასზე მუშაობა და საგზაო სამუშაოები ბეტონის ყალიბის აღმართვა და დაშლა</p> <p>ხარაჩოების აწყობა და მონტაჟი</p> <p>სამონტაჟო სამუშაოები</p> <p>სარემონტო სამუშაოები</p> <p>ნგრევითი სამუშაოები</p> <p>აფეთქების სამუშაოები</p> <p>მუშაობა ორმოებში, თხრილებში, შახტებსა და გვირაბებში</p> <p>მუშაობა ლიფტების, ამწევი ხელსაწყოების, ამწეების და კონვეიერების სიახლოვეს</p> <p>მიწისქვეშ, კარიერებში, ღია თხრილებში მიმდინარე სამუშაოები</p> <p>ინდუსტრიულ ლუმელებთან, კონტეინერებთან, მანქანა-დანადგარებთან, სილოსებთან, ბუნკერებთან და მილსადენებთან მუშაობა</p> <p>სასაკლაოები და დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები ტვირთის გადატანა ან ტრანსპორტირება და დასაწყობება</p> <p>სატყეო სამუშაოები და ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები</p> <p>ფოლადის ხიდებზე, ფოლადის კონსტრუქციებზე, ფოლადის ჰიდრაულიკურ კონსტრუქციებზე, ზრმედებზე, ფოლადის მწარმოებელ დანადგარებსა და საგლინავეებზე, დიდ კონტეინერებზე, დიდ მილსადენებზე, ბოილერებზე, საქვაბეზე და ელექტროსადგურებზე მუშაობა</p> <p>მიწაზე და კლდეზე მიმდინარე სამუშაოები</p> <p>ქანჩებთან/სახრახნისებთან მუშაობა</p> <p>ზრმედებთან, სადნობ ლუმელებთან, ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებში, საგლინავეებზე, ლითონის ჩამომსხმელ საწარმოში, სამჭედლოებში მუშაობა, ცხელი წნეხა და ჩამოსხმითი სამუშაოები</p> <p>სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ველოსიპედებითა და მექანიკურად მოძრავი მოპედით მგზავრობასთან</p>	<p>მშენებლობა</p> <p>მანქანა-დანადგარების წარმოება, მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>სამთო მრეწველობა</p> <p>ენერგოწარმოება</p> <p>ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტექნიკური მომსახურება</p> <p>რკინისა და ფოლადის წარმოება</p> <p>სასაკლაოები</p> <p>რკინიგზის მანევრირებისას განსახორციელებელი სამუშაოები</p> <p>ნავსადგურები, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p>
	<p>თვალები ან/და სახე</p> <p>დამცავი სათვალე, გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები</p>	<p>შედლევა, ხეხვა და დანაწევრების სამუშაოები</p> <p>ხელის ჩაქურჩით მუშაობა</p> <p>გმანვა და გამოთლა</p> <p>ქვის და ქანების ჭრა და დამუშავება</p> <p>ქანჩებთან/სახრახნისებთან მუშაობა</p> <p>სამსხვრევ მანქანა/დანადგარებთან მუშაობა</p>	<p>მშენებლობა</p> <p>მანქანა-დანადგარების წარმოება, მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>სამთო მრეწველობა</p> <p>მძიმე, მსუბუქი მრეწველობა</p>

		<p>ცხელი წნეხა ფრაგმენტების მოცილება და დაშლა აბრაზიული ნივთიერებების შესხურება/შეფრქვევა ბუჩქსაჭრელის ან ჯაჭვური/ლენტური ხერხის გამოყენება სტომატოლოგიური და ქირურგიული პროცედურები მინასთან მუშაობა</p>	<p>ენერგოწარმოება ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტექნიკური მომსახურება რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონის წარმოება ქვის დამუშავება მებაღეობა ჯანდაცვა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება მინის წარმოება/დამუშავება</p>
<p>ტერფი და ფეხი (ნაწილები) ფეხსაცმელი (ფეხსაცმელები/ყელიანი ფეხსაცმელები და ა.შ.) უსაფრთხო ან დამცავი ცხვირით ფეხსაცმელი წინატერფის დაცვით</p>	<p>არმატურის კარკასზე მუშაობა და საგზაო სამუშაოები ბეტონის ყალიბის აღმართვა და დაშლა ხარაჩოების აწყობა და მონტაჟი სარემონტო სამუშაოები ნგრევეთი სამუშაოები აფეთქების სამუშაოები ქვის და ქანების ჭრა და დამუშავება სასაკლაოები და დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები ტრანსპორტირება და დასაწყობება კერამიკის მრეწველობაში ყალიბებთან მუშაობა</p> <p>გაყინული ხორცისა და კონსერვირებული საკვების შეფუთვისთან მუშაობა ბრტყელი მინის პროდუქტებისა და მინის კონტეინერების წარმოება და დამუშავება სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ტექნიკური მომსახურება სატყეო სამუშაოები და ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები მუშაობა ბეტონთან და მზა ნაწილებთან, რომლებიც მოიცავს ყალიბის აღმართვასა და დაშლას მუშაობა ეზოებსა და სასაწყობე ტერიტორიებზე სახურავზე მიმდინარე სამუშაოები ასაწყობ ფოლადის კონსტრუქციებზე, ფოლადის ჰიდებზე, ანძებზე, კოშკებზე, ლიფტებთან, ფოლადის ჰიდრაულიკურ კონსტრუქციებზე, ბრძმედებზე, ფოლადის მწარმოებელ დანადგარებსა და საგლინავებზე, დიდ კონტეინერებსა და მილსადენებზე, ამწებზე, ბოილერებზე და ელექტროსადგურებზე</p>	<p>მშენებლობა მანქანა-დანადგარების წარმოება, მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე, მსუბუქი მრეწველობა ენერგოწარმოება ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტექნიკური მომსახურება რკინისა და ფოლადის წარმოება სასაკლაოები ლოჯისტიკური კომპანიები მრეწველობა მინის წარმოება/დამუშავება სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p>	<p>მშენებლობა მანქანა-დანადგარების წარმოება, მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე, მსუბუქი მრეწველობა ენერგოწარმოება ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტექნიკური მომსახურება რკინისა და ფოლადის წარმოება სასაკლაოები ლოჯისტიკური კომპანიები მრეწველობა მინის წარმოება/დამუშავება სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p>

		<p>ლუმელის მშენებლობა, გათბობა და სავენტილაციო სამონტაჟო და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება</p> <p>მუშაობა ბრძმედებთან, სადნობ ლუმელებთან, საგლინავებთან, ფოლადის და ლითონის ჩამოსხმელ ქარხნებში, სამჭედლოებთან, ცხელი წნეხა და სახაზავ დანადგარებზე მუშაობა</p> <p>კარიერებში და ღია თხრილებში მუშაობა, ქვანახშირის მარაგის ამოღება</p> <p>კერამიკის მრეწველობაში ყალიბებთან მუშაობა</p> <p>ლუმელების მოპირკეთება კერამიკის წარმოებაში</p> <p>რკინიგზის მანევრირების სამუშაოები</p> <p>ნავთობის, გაზისა და პორტის ინდუსტრიაში შესრულებული სამუშაოები</p>	
დაცემა ფეხის ასრიალების მიზეზით	<p>ტერფი</p> <p>ასრიალების საწინააღმდეგო ფეხსაცმელი</p>	<p>მოლიპულ ზედაპირებზე მუშაობა</p> <p>ტენიან გარემოში მუშაობა</p>	<p>მშენებლობა</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>სასაკლაო</p> <p>დასუფთავება</p> <p>კვების მრეწველობა</p> <p>მებაღეობა</p> <p>მეთევზეობა</p>
სიმაღლიდან ვარდნა	<p>მთლიანი სხეული</p> <p>ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც შექმნილია სიმაღლიდან ვარდნის შესაჩერებლად</p>	<p>ხარაჩობებზე მუშაობა</p> <p>მზა კონსტრუქციების მონტაჟი-დემონტაჟი</p> <p>ანძებზე მუშაობა</p> <p>სახურავზე მიმდინარე სამუშაოები</p> <p>მუშაობა ვერტიკალურ ან დახრილ ზედაპირებზე</p> <p>მუშაობა ამწის მაღალ კაბინაში</p> <p>საწყობში დაკომპლექტებისა და საძიებო აღჭურვილობის მაღალ კაბინებში მუშაობა</p> <p>საბურღი კომპლურების მაღალ სექციებში მუშაობა</p> <p>მუშაობა შახტებსა და საკანალიზაციო არხებსა და ჭებში</p> <p>სიმაღლეზე სამუშაო</p>	<p>მშენებლობა</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება</p>
ვიბრაცია	<p>ხელები</p> <p>დამცავი ხელთათმანები</p>	<p>ხელის ინსტრუმენტებით მუშაობა</p>	<p>სამრეწველო წარმოება</p> <p>სამშენებლო საქმიანობა</p>

სხეულის ნაწილების სტატიკური კომპრესია	მუხლი (ფეხის ნაწილები)	იატაკზე ბლოკების, ფილების და აგურის ფილების მონტაჟი არმატურის მოქსოვა	მშენებლობა
	სამუხლე ბალიშები		
	ფეხი	სადემონტაჟო სამუშაოები ტვირთის გადატანა	მშენებლობა ტრანსპორტირება და დასაწყობება ტექნიკური მომსახურება
	ფეხსაცმელი დამცავი ცხვირით		
მექანიკური დაზიანებები (აბრაზია, პერფორაცია, გაჭრის შედეგად მიღებული ჭრილობები, ნაკბენები, ჭრილობები ან დანით მიყენებული ჭრილობები)	თვალები ან/და სახე	ხელის ინსტრუმენტებით მუშაობა შედუღება და სამჭედლო სამუშაოები ხეხვისა და დანაწილების სამუშაოები თლის სამუშაოები ქვის და ქანების ჭრა და დამუშავება სამსხვრევ მანქანა-დანადგარებზე მუშაობა ცხელი წნეხა ფრაგმენტების მოცილება და დაშლა აბრაზიული ნივთიერებების შესხურება ბუჩქსაჭრელის ან ჯაჭვური ხერხის გამოყენება	გემთმშენებლობა მშენებლობა სამთო მრეწველობა ენერგოწარმოება ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონისა და ხის წარმოება ქვაზე კვეთა მებაღეობა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება
	ხელები	ფოლადის კარკასებთან მუშაობა ლითონის კარკასებთან მუშაობა ბასრი პირის მქონე საგნებთან მუშაობა, გარდა იმ მანქანა-დანადგარებისა, სადაც არსებობს ხელთათმანის ჩაყოლის საფრთხე დანის გამოყენებით ჭრის რეგულარული სამუშაოებისთვის, წარმოებაში და ცხოველების დაკვლისთვის საჭრელი მანქანის დანების გამოცვლა სატყეო სამუშაოები და ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები მებაღეობა	მშენებლობა გემთმშენებლობა ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება სამრეწველო წარმოება კვების მრეწველობა სასაკლაო სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება
	წინამხრები	ხორცის დამუშავება	კვების მრეწველობა სასაკლაო
	მკლავის დაცვა		
	ტანი/მუცელი/ფეხი	ჭრის რეგულარული სამუშაოები ხელის დანის გამოყენებით წარმოების მიზნებისთვის და სასაკლაოებისთვის	კვების მრეწველობა

	<p>დამცავი წინსაფრები, გამაშები, დამცავი გაუმტარი შარვალი (გაჭრის საწინააღმდეგო შარვლები)</p>	<p>სატყეო სამუშაოები და ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები</p>	<p>სასაკლაო</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p>
	<p>ტერფი</p> <p>შელწევის საწინააღმდეგო ფეხსაცმელი</p>	<p>არმატურის კარკასზე მუშაობა და საგზაო სამუშაოები ნგრევეთი სამუშაოები</p> <p>ბეტონის ყალიბის დადგმა და მოხსნა</p> <p>სატყეო სამუშაოები და ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები</p>	<p>მშენებლობა</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>სამთო მრეწველობა მსუბუქი და მძიმე მრეწველობა</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p>
<p>ჩათრევა/ჩაყოლა/მოყოლა</p>	<p>მთლიანი სხეული</p> <p>დამცავი ტანსაცმელი ისეთ სიტუაციაში გამოსაყენებლად, სადაც არის მზრუნავ მექანიზმებთან ჩათრევის რისკი</p>	<p>მანქანა-დანადგარების ნაწილებში ჩათრევა</p> <p>მანქანა-დანადგარების ნაწილებში მოყოლა</p> <p>ტანსაცმლის ჩაყოლა მანქანა-დანადგარების ნაწილებში</p> <p>მანქანა-დანადგარებში ჩათრევა</p>	<p>მანქანათმშენებლობა</p> <p>მძიმე სამუშაო მანქანების წარმოება</p> <p>ინჟინერია</p> <p>მშენებლობა</p> <p>სოფლის მეურნეობა</p> <p>მომსახურების სექტორი</p> <p>მსუბუქი მრეწველობა</p>
<p>ფიზიკური - ხმაური</p>			
<p>ხმაური</p>	<p>ყურები</p> <p>სმენის დაცვა</p>	<p>მუშაობა ლითონის საწნებ დანადგარებთან</p> <p>პნევმატური ბურღებით მუშაობა</p> <p>პნევმატური ჩაქუჩით მუშაობა</p> <p>აეროპორტის აეროდრომზე მომუშავე თანამშრომლების სამუშაოები</p> <p>ელექტროინსტრუმენტებით მუშაობა</p> <p>აფეთქების სამუშაოები</p> <p>ხიმინჯსასობ მოწყობილობაზე მუშაობა</p> <p>ხის და ტექსტილის დამუშავება</p> <p>მანქანა-დანადგარებთან მუშაობა</p>	<p>ლითონის წარმოება</p> <p>სამრეწველო წარმოება</p> <p>მშენებლობა</p> <p>საავიაციო წარმოება</p> <p>სამთო მრეწველობა</p>
<p>ფიზიკური - თერმული</p>			
<p>სიცხე ან/და ცეცხლი</p>	<p>სახე/მთლიანი თავი</p> <p>შესადულებელი ფარი, სიცხის ან ხანძრისგან დამცავი ჩაფხუტები/ქუდეები, სიცხის ან/და ალისგან დამცავი თავსაბურავები</p> <p>ტანი/მუცელი/ფეხები</p>	<p>მაღალი ტემპერატურის, სითბური გამოსხივების ან ხანძარის პირობებში მუშაობა</p> <p>გამდნარ ნივთიერებებთან ან მის სიახლოვეს მუშაობა</p> <p>პლასტმასის შესადულებელ იარაღთან მუშაობა</p>	<p>რკინისა და ფოლადის წარმოება</p> <p>ლითონის წარმოება</p> <p>ტექნიკური მომსახურება</p> <p>სამრეწველო წარმოება</p> <p>რკინისა და ფოლადის წარმოება</p> <p>ლითონის წარმოება</p>

	დამცავი წინსაფარი, გამაშები	ჩამოსხმა	ტექნიკური მომსახურება სამრეწველო წარმოება
	ხელი სიცივის ან/და ალისგან დამცავი ხელთათმანი	შედულების და სამჭედლო სამუშაოები მაღალი ტემპერატურის, სითბური გამოსხივების ან ხანძრის პირობებში მუშაობა გამდნარ ნივთიერებებთან ან მის სიახლოვეს მუშაობა	რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონის წარმოება ტექნიკური მომსახურება სამრეწველო წარმოება
	წინამხარი სახელოები	შედულების და სამჭედლო სამუშაოები გამდნარ ნივთიერებებთან ან მის სიახლოვეს მუშაობა	რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონის წარმოება ტექნიკური მომსახურება სამრეწველო წარმოება
	ტერფი სიცივის ან/და ალისგან დამცავი ფეხსაცმელი	გამდნარ ნივთიერებებთან ან მის სიახლოვეს მუშაობა	რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონის წარმოება ტექნიკური მომსახურება სამრეწველო წარმოება
	მთლიანი სხეული/სხეულის ნაწილი სიცივის ან/და ალისგან დამცავი ტანსაცმელი	მაღალი ტემპერატურის, სითბური გამოსხივების ან ხანძრის პირობებში მუშაობა	რკინისა და ფოლადის წარმოება ლითონის წარმოება სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება
სიცივე	ხელი სიცივისგან დამცავი ხელთათმანები	ღია ცის ქვეშ უკიდურესად ცივ პირობებში მუშაობა საყინულე კამერებში მუშაობა კრიოგენულ თხევად ნივთიერებებთან მუშაობა	მშენებლობა გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა კვების მრეწველობა მძიმე მრეწველობა სოფლის მეურნეობა და მეთევზეობის სექტორი ტრანსპორტირება და დასაწყობება
	მთლიანი სხეული/სხეულის ნაწილი თავის ჩათვლით სიცივისგან დამცავი ტანსაცმელი	ღია ცის ქვეშ ცივი ამინდის პირობებში მუშაობა საყინულე კამერებში მუშაობა კრიოგენულ თხევად ნივთიერებებთან მუშაობა	მშენებლობა გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა კვების მრეწველობა მძიმე მრეწველობა სოფლის მეურნეობა და მეთევზეობის სექტორი

			ტრანსპორტირება და დასაწყობება
ფიზიკური - ელექტრო			
ელექტრული დარტყმა (პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტი)	<p>მთლიანი თავი</p> <p>ჩაფხუტები ელექტროიზოლაციით</p> <p>ხელები</p> <p>დიელექტრიკული ხელთათმანები</p> <p>ფეხსაცმელები</p> <p>დიელექტრიკული ფეხსაცმელები</p> <p>მთლიანი სხეული/ხელები/ტერფები</p> <p>გამტარი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები განკუთვნილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების აღსაჭურვად, რომლებიც ასრულებენ ცვალებადი დენის 800 კვ. ძაბვის და მუდმივი დენის 600 კვ. ძაბვის პირობებში სამუშაოებს</p>	<p>ძაბვის ქვეშ მუშაობა ან ელექტრული ძაბვის ქვეშ არსებულ ნაწილებთან ახლოს მუშაობა</p> <p>ელექტროსისტემებზე მუშაობა</p>	<p>ენერგოწარმოება</p> <p>ელექტროენერჯის გადაცემა და განაწილება</p> <p>ინდუსტრიული შენობების ტექნიკური მომსახურება</p> <p>მშენებლობა</p> <p>სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა</p>
სტატიკური ენერჯია	<p>ხელები</p> <p>ანტისტატიკური ხელთათმანები</p> <p>ტერფები</p> <p>ანტისტატიკური/გამტარი ფეხსაცმელი</p> <p>მთლიანი სხეული</p> <p>ანტისტატიკური ტანსაცმელი</p>	<p>პლასტმასის და რეზინის დამუშავება</p> <p>კონტეინერში/რეზერვუარში ჩასხმა, შეგროვება ან ჩატვირთვა</p> <p>დამუხტულ ელემენტებთან მუშაობა, როგორცაა მაგალითად კონვეიერი</p> <p>ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მუშაობა</p> <p>აალებად ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>სამრეწველო წარმოება</p> <p>საკვების მრეწველობა</p> <p>ტომრებში გამანაწილებელი და შესაფუთი საწარმოები</p> <p>ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება, დასაწყობება ან ტრანსპორტირება</p> <p>აალებადი ნივთიერებების წარმოება, დასაწყობება ან ტრანსპორტირება</p>
ფიზიკური - რადიაცია			
არამაიონიზირებელი გამოსხივება, მათ შორის მზის სინათლე (გარდა კეპები და ჩაფხუტები	<p>თავი</p> <p>კეპები და ჩაფხუტები</p>	<p>ღია სივრცეში მუშაობა</p>	<p>მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა</p> <p>მშენებლობა</p>

<p>პირდაპირი მზის სხივების ზემოქმედებისა)</p>	<p>თვალეები</p> <p>დამცავი სათვალე, გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები (გამოსხივების მშთანთქმელი - მაკრანირებული)</p>	<p>სითბურ გამოსხივებასთან მუშაობა სამრეწველო ღუმელთან მიმდინარე ოპერაციები</p> <p>— ლაზერთან მუშაობა</p> <p>— ღია სივრცეში მუშაობა</p> <p>— შედუღება და აირით ჭრა</p> <p>— მინასთან მუშაობა</p> <p>— ბაქტერიციდული ლამპები</p>	<p>რკინისა და ფოლადის წარმოება სამრეწველო წარმოება მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა</p>
	<p>მთლიანი სხეული (კანი)</p> <p>ზუნებრივი და ხელოვნური ულტრაიისფერი გამოსხივების საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები</p>	<p>ღია სივრცეში მუშაობა ელექტრო შედუღება ბაქტერიციდული ნათურები ქსენონის ნათურები</p>	<p>მშენებლობა გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა ენერგოწარმოება ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება მებაღეობა კვების მრეწველობა პლასტმასის წარმოება ბეჭდვითი საქმიანობა</p>
<p>მაიონიზირებელი გამოსხივება</p>	<p>თვალეები</p> <p>მაიონიზირებელი გამოსხივებისგან დამცავი სათვალე/გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე</p> <p>ხელები</p> <p>მაიონიზირებელი გამოსხივებისგან დამცავი ხელთათმანები</p>	<p>რენტგენის აპარატთან მუშაობა სამედიცინო რადიოდიანოსტიკის სფეროში მუშაობა რადიაქტიურ პროდუქტებთან მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა ვეტერინარული ზრუნვა რადიოაქტიური ნარჩენების ქარხანა ენერგოწარმოება</p>
	<p>სხეული/მუცელი/ სხეულის ნაწილი</p> <p>რენტგენისგან დამცავი წინსაფარი</p>	<p>რენტგენის აპარატთან მუშაობა სამედიცინო რადიოდიანოსტიკის სფეროში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა ვეტერინარული ზრუნვა სტომატოლოგია უროლოგია</p>

	რენტგენისგან დამცავი /ქურთუკები/ შილტები/ქვედაბოლოები		ქირურგია ინტერვენციული რადიოლოგია ლაბორატორიები
თავი	თავსაბურავები და ქუდები ე.წ ტვინის სიმსივნის განვითარების საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	სამუშაო ადგილები და შენობები, სადაც განთავსებულია სამედიცინო რენტგენი	ჯანდაცვა ვეტერინარული ზრუნვა სტომატოლოგია უროლოგია ქირურგია ინტერვენციული რადიოლოგია
სხეულის ნაწილი	ფარისებრი ჯირკვლის დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სასქესო ჯირკვლების დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	რენტგენის აპარატთან მუშაობა სამედიცინო რადიოდიაგნოსტიკის სფეროში მუშაობა	ჯანდაცვა ვეტერინარული ზრუნვა
მთლიანი სხეული	მაიონიზირებელი გამოსხივებისგან დამცავი ტანსაცმელი	სამედიცინო რადიოდიაგნოსტიკის სფეროში მუშაობა რადიაქტიურ პროდუქტებთან მუშაობა	ენერგოწარმოება რადიოაქტიური ნარჩენების ქარხანა

II. ქიმიური საფრთხეები (ნაწილობრივად ჩათვლით)

რისკები/საფრთხეები	სხეულის ნაწილები, რომლებიც შესაძლოა დაზიანდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სახეობა	იმ საქმიანობების მაგალითები, სადაც შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (*)	მრეწველობა და სექტორები
ქიმიური ნივთიერებები - აეროზოლები			
მყარი (მტვერი, გამონახობელი, კვამლი, ბოჭკოები და ნაწილობრივი)	სასუნთქი სისტემა ნაწილაკებისგან დამცავი სასუნთქი სისტემის მოწყობილობები	სადემონტაჟო სამუშაოები აფეთქების სამუშაოები ზედაპირების მოხეხვა და გაპრიალება აზბესტის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა ნაწილობრივი ნაწილებისგან შემდგარი/შემცველი მასალების გამოყენება შედუღება	მშენებლობა გემთმშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა რკინისა და ფოლადის წარმოება/დამუშავება ლითონისა და ხის წარმოება

		<p>აირჭრა საკვამურების გასუფთავება ლუმენებისა და ჩამოსასხმელი ჭურჭლის მოპირკეთებაზე მუშაობა, სადაც შეიძლება იყოს მტვერი მუშაობა ბრძმედების ონკანების მახლობლად, სადაც შეიძლება იყოს მძიმე ლითონებიდან მომდინარე ორთქლი ბრძმედის ჩასატვირთ მოწყობილობასთან ახლოს მუშაობა გამონაბოლქვისა და კვამლის პირობებში მუშაობა ხის დამუშავება მადნის მოპოვების სამუშაოები</p>	<p>საავტომობილო ინდუსტრია ქვაზე კვეთა ფარმაცევტული წარმოება ჯანდაცვის მომსახურება ციტოსტატიკური საშუალებების დამზადება</p>
	<p>ხელები ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ხელთათმანები და დამცავი (ბარიერული) საცხი, როგორც დამატებითი/დამხმარე დამცავი საშუალება</p>	<p>აზბესტის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა ნანონაწილაკებისგან შემდგარი/შემცველი მასალების გამოყენება ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>მშენებლობა გემთმშენებლობა სამრეწველო ობიექტების ტექნიკური მომსახურება</p>
	<p>მთლიანი სხეული მყარი ნაწილაკებისგან დამცავი ტანსაცმელი</p>	<p>სადემონტაჟო სამუშაოები აზბესტის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა ნანონაწილაკებისგან შემდგარი/შემცველი მასალების გამოყენება საკვამურების გასუფთავება მცენარეთა დაცვის საშუალებების მომზადება ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა ხის დამუშავება</p>	<p>მშენებლობა გემთმშენებლობა სამრეწველო ობიექტების ტექნიკური მომსახურება სოფლის მეურნეობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა</p>
	<p>თვალები სათვალე/გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები</p>	<p>ხის დამუშავება საგზაო სამუშაოები ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>სამთო მრეწველობა ლითონისა და ხის წარმოება მშენებლობა მძიმე მრეწველობა</p>
<p>სითხე (ნისლი და ბურუსი)</p>	<p>სასუნთქი სისტემა მყარი ნაწილაკებისგან დამცავი სასუნთქი სისტემის მოწყობილობა</p>	<p>ზედაპირის დამუშავება (მაგ.: ლაქის დადება/შეღებვა, აბრაზიული გასუფთავება) ზედაპირის გასუფთავება ხის დამუშავება ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>ლითონის წარმოება სამრეწველო წარმოება საავტომობილო სექტორი მშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა</p>

	ხელები ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ხელთათმანები	ზედაპირის დამუშავება ზედაპირის გასუფთავება თხევად აეროზოლებთან მუშაობა მჟავებთან და კაუსტიკურ ხსნარებთან, სადეზინფექციო საშუალებებთან და კოროზიულ საწმენდ საშუალებებთან მუშაობა ხის დამუშავება ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	ლითონის წარმოება სამრეწველო წარმოება საავტომობილო სექტორი მშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა
	მთლიანი სხეული ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ტანსაცმელი	ზედაპირის დამუშავება ზედაპირის გასუფთავება ხის დამუშავება ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	ლითონის წარმოება სამრეწველო წარმოება საავტომობილო სექტორი მშენებლობა სამთო მრეწველობა მძიმე მრეწველობა
ქიმიური ნივთიერებები - სითხეები			
სითხეში ჩაშვება	ხელები ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ხელთათმანები	თხევად აეროზოლებთან მუშაობა მჟავებთან და კაუსტიკურ ხსნარებთან, სადეზინფექციო საშუალებებთან და კოროზიულ საწმენდ საშუალებებთან მუშაობა დასაფარი მასალების დამუშავება თრიმვლა სილამაზის სალონებში მუშაობა ნავთობ-პროდუქტებთან მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	ტექსტილისა და ტანსაცმლის ინდუსტრია დასუფთავების მრეწველობა საავტომობილო ინდუსტრია სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრი სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა
	წინამხარი ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი სახელოები	მჟავებთან და კაუსტიკურ ხსნარებთან, სადეზინფექციო საშუალებებთან და კოროზიულ საწმენდ საშუალებებთან მუშაობა ნავთობპროდუქტებთან მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	დასუფთავება ქიმიური ნივთიერებების წარმოება დასუფთავების მრეწველობა საავტომობილო ინდუსტრია სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა
	ტერფები ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი მაღალყელიანი ფეხსაცმელები	თხევად აეროზოლებთან მუშაობა მჟავებთან და კაუსტიკურ ხსნარებთან, სადეზინფექციო საშუალებებთან და კოროზიულ საწმენდ საშუალებებთან მუშაობა ნავთობ-პროდუქტებთან მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	ტექსტილისა და ტანსაცმლის ინდუსტრია დასუფთავების მრეწველობა საავტომობილო ინდუსტრია სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა

	<p>მთლიანი სხეული</p> <p>ქიმიური ნივთიერებისგან დამცავი ტანსაცმელი</p>	<p>თხევად აეროზოლებთან მუშაობა</p> <p>მყავებთან და კაუსტიკურ ხსნარებთან, სადეზინფექციო საშუალებებთან და კოროზიულ საწმენდ საშუალებებთან მუშაობა</p> <p>ნავთობპროდუქტებთან მუშაობა</p> <p>ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>დასუფთავება</p> <p>ქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>დასუფთავების მრეწველობა</p> <p>საავტომობილო ინდუსტრია</p> <p>სოფლის მეურნეობა</p> <p>სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა</p>
ქიმიური ნივთიერებები — აირები და ორთქლი			
აირები და ორთქლი	<p>სასუნთქი სისტემა</p> <p>აირებისგან დამცავი სასუნთქი სისტემის მოწყობილობები</p>	<p>ზედაპირის დამუშავება (მაგ.: ლაქის დადება/შეღებვა, აბრაზიული გასუფთავება)</p> <p>ზედაპირის გასუფთავება</p> <p>ფერმენტაციისა და სახდელ სივრცეებში მუშაობა</p> <p>ავზების და ავტოკლავების შიგნით მუშაობა</p> <p>კონტეინერებში, შეზღუდულ ადგილებში და გაზზე მომუშავე ინდუსტრიულ ღუმელებთან მუშაობა, სადაც შეიძლება იყოს გაზი ან არასაკმარისი ჟანგბადი</p> <p>საკვამურების გასუფთავება</p> <p>სადეზინფექციო და კოროზიისგან გამწმენდი საშუალებები</p> <p>გაზის გადამყვანების და ბრძმედების გაზის მიღების სიხლოვეს მუშაობა</p> <p>ნავთობპროდუქტებთან მუშაობა</p> <p>ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>ლითონის წარმოება</p> <p>საავტომობილო სექტორი</p> <p>სამრეწველო წარმოება</p> <p>დასუფთავების მრეწველობა</p> <p>ალკოჰოლური სასმელების წარმოება</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>ქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>ნავთობქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა</p>
	<p>ხელები</p> <p>ქიმიური ნივთიერებისგან დამცავი ხელთათმანები</p>	<p>ზედაპირის დამუშავება</p> <p>ზედაპირის გასუფთავება</p> <p>ფერმენტაციისა და სახდელ სივრცეებში მუშაობა</p> <p>ავზების და ავტოკლავების შიგნით მუშაობა</p> <p>კონტეინერებში, დახურულ სივრცეებში და გაზზე მომუშავე ინდუსტრიულ ღუმელებთან მუშაობა, სადაც შეიძლება იყოს გაზი ან არასაკმარისი ჟანგბადი</p> <p>ნავთობ-პროდუქტებთან მუშაობა</p> <p>ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა</p>	<p>ლითონის წარმოება</p> <p>საავტომობილო სექტორი</p> <p>სამრეწველო წარმოება</p> <p>ალკოჰოლური სასმელების წარმოება</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>ქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>ნავთობქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა</p>
	<p>მთლიანი სხეული</p> <p>ქიმიური ნივთიერებისგან დამცავი ტანსაცმელი</p>	<p>ზედაპირის დამუშავება</p> <p>ზედაპირის გასუფთავება</p> <p>ფერმენტაციისა და სახდელ სივრცეებში მუშაობა</p> <p>ავზების და ავტოკლავების შიგნით მუშაობა</p> <p>კონტეინერებში, შეზღუდულ ადგილებში და გაზზე მომუშავე ინდუსტრიულ ღუმელებთან მუშაობა, სადაც შეიძლება იყოს გაზი ან არასაკმარისი ჟანგბადი</p> <p>ნავთობ-პროდუქტებთან მუშაობა</p>	<p>ლითონის წარმოება</p> <p>საავტომობილო სექტორი</p> <p>სამრეწველო წარმოება</p> <p>ალკოჰოლური სასმელების წარმოება</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>ქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>ნავთობქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>

		ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა
თვალეები	სათვალე, გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები	შესხურებით (პულივიზატორით) დებვა ხის დამუშავება სამთო მრეწველობის სამუშაოები ნავთობ-პროდუქტებთან მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა	საავტომობილო სექტორი სამრეწველო წარმოება სამთო მრეწველობა ქიმიური ნივთიერებების წარმოება ნავთობქიმიური ნივთიერებების წარმოება სამთო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა

III. ბიოლოგიური აგენტები

რისკები/საფრთხეები	სხეულის ნაწილები, რომლებიც შესაძლოა დაზიანდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სახეობა	იმ საქმიანობების მაგალითები, სადაც შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (*)	მრეწველობა და სექტორები
ბიოლოგიური აგენტები (რომელსაც შეიცავს) - აეროზოლები			
მყარი და თხევადი	სასუნთქი სისტემა ნაწილაკებისგან დამცავი სასუნთქი სისტემის მოწყობილობები	სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა	ჯანდაცვა ვეტერინარული კლინიკები კლინიკური ლაბორატორიები კვლევითი ლაბორატორიები მოხუცთა თავშესაფრები დახმარების გაწევა ბინაზე ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა კვების მრეწველობა ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება
	ხელები მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები მთლიანი სხეული/სხეულის ნაწილი	სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა	ჯანდაცვა ვეტერინარული კლინიკები კლინიკური ლაბორატორიები კვლევითი ლაბორატორიები მოხუცთა თავშესაფრები დახმარების გაწევა ბინაზე ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა კვების მრეწველობა

	<p>ბიოლოგიური აგენტებისგან დამცავი ტანსაცმელი</p> <p>თვალები ან/და სახე</p> <p>დამცავი სათვალე, გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები</p>		<p>ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>
ბიოლოგიური აგენტები (რომელსაც შეიცავს) - სითხეები			
<p>პირდაპირი და არაპირდაპირი კონტაქტი</p>	<p>ხელები</p> <p>მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები</p> <p>მთლიანი სხეული/სხეულის ნაწილი</p> <p>ბიოლოგიური აგენტებისგან დამცავი ტანსაცმელი</p> <p>თვალები ან/და სახე</p> <p>გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან (ნაკბენები, ნესტარი)</p> <p>ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა</p> <p>ვეტერინარული კლინიკები</p> <p>კლინიკური ლაბორატორიები</p> <p>კვლევითი ლაბორატორიები</p> <p>მოხუცთა თავშესაფრები</p> <p>დახმარების გაწევა ბინაზე</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>კვების მრეწველობა</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p> <p>სოფლის მეურნეობა</p> <p>ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>
<p>შხეფები, შესასხურებელი ხსნარები და ჭავლური ნაკადი</p>	<p>ხელები</p> <p>მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან</p> <p>ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა</p> <p>ვეტერინარული კლინიკები</p> <p>კლინიკური ლაბორატორიები</p> <p>კვლევითი ლაბორატორიები</p> <p>მოხუცთა თავშესაფრები</p> <p>დახმარების გაწევა ბინაზე</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p> <p>კვების მრეწველობა</p> <p>სოფლის მეურნეობა</p> <p>ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>
	<p>წინამხარი</p> <p>მიკროორგანიზმებისგან დამცავი სახელოები</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან</p> <p>ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა</p> <p>ვეტერინარული კლინიკები</p> <p>კლინიკური ლაბორატორიები</p> <p>კვლევითი ლაბორატორიები</p>

			<p>მოხუცთა თავშესაფრები დახმარების გაწევა ბინაზე ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება კვების მრეწველობა სოფლის მეურნეობა ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>
<p>ტერფები/ფეხები დამცავი მაღალყელიანი ფეხსაცმლი და გამაშები</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა ვეტერინარული კლინიკები კლინიკური ლაბორატორიები კვლევითი ლაბორატორიები მოხუცთა თავშესაფრები დახმარების გაწევა ბინაზე ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება კვების მრეწველობა სოფლის მეურნეობა ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>	
<p>მთლიანი სხეული ბიოლოგიური აგენტებისგან დამცავი ტანსაცმელი</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>ჯანდაცვა ვეტერინარული კლინიკები კლინიკური ლაბორატორიები კვლევითი ლაბორატორიები მოხუცთა თავშესაფრები დახმარების გაწევა ბინაზე ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება კვების მრეწველობა სოფლის მეურნეობა ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>	
ბიოლოგიური აგენტები (შეიცავს) – მასალები, ადამიანები, ცხოველები და ა.შ.			
<p>პირდაპირი და არაპირდაპირი კონტაქტი</p>	<p>ხელები</p>	<p>სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებთან და ქსოვილებთან (ნაკბენები, ნესტარი)</p>	<p>ჯანდაცვა ვეტერინარული კლინიკები</p>

	<p>მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები</p> <p>მთლიანი სხეული/სხეულის ნაწილი</p> <p>ბიოლოგიური აგენტებისგან დამცავი ტანსაცმელი</p> <p>თვალები ან/და სახე</p> <p>გვერდებზე დახურული დამცავი სათვალე და სახის ფარები</p>	<p>ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების არეალში მუშაობა</p>	<p>კლინიკური ლაბორატორიები</p> <p>კვლევითი ლაბორატორიები</p> <p>მოხუცთა თავშესაფრები</p> <p>დახმარების გაწევა ბინაზე</p> <p>ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები</p> <p>ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა</p> <p>კვების მრეწველობა</p> <p>სატყეო სამუშაოები, ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება</p> <p>სოფლის მეურნეობა</p> <p>ბიოქიმიური ნივთიერებების წარმოება</p>
--	--	--	--

IV. სხვა რისკები/საფრთხეები

რისკები/საფრთხეები	სხეულის ნაწილები, რომლებიც შესაძლოა დაზიანდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სახეობა	იმ საქმიანობების მაგალითები, სადაც შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი ტიპის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (*)	მრეწველობა და სექტორები
თვალისთვის უხილავი	<p>მთლიანი სხეული</p> <p>ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც ვიზუალურ სიგნალს იძლევიან მომხმარებლის სივრცეში ყოფნის თაობაზე</p>	<p>სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სიახლოვეს მიმდინარე სამუშაოები</p> <p>ასფალტზე მიმდინარე სამუშაოები და საგზაო მონიშვნები</p> <p>სარკინიგზო სამუშაოები</p> <p>სატრანსპორტო საშუალებების მართვა</p> <p>აეროპორტის აეროდრომზე მომუშავე თანამშრომლების სამუშაოები</p>	<p>მშენებლობა</p> <p>გემთმშენებლობა</p> <p>სამთო მრეწველობა</p> <p>სატრანსპორტო მომსახურება და სამგზავრო ტრანსპორტი</p> <p>მძიმე მრეწველობა</p>
ჭანგბადის ნაკლებობა	<p>სასუნთქი სისტემა</p> <p>საიზოლაციო სუნთქვის დამცავი მოწყობილობები</p>	<p>დახურულ სივრცეში მუშაობა</p> <p>ფერმენტაციისა და სახდელ სივრცეებში მუშაობა</p> <p>ავზების და ავტოკლავების შიგნით მუშაობა</p> <p>კონტეინერებში, დახურულ სივრცეებში და გაზზე მომუშავე ინდუსტრიულ ღუმელებთან მუშაობა, სადაც შეიძლება იყოს გაზი ან არასაკმარისი ჭანგბადი</p> <p>შახტებში, საკანალიზაციო არხებსა და ჭებში და სხვა მიწისქვეშა სივრცეებში მუშაობა, რომელიც უკავშირდება კანალიზაციას</p>	<p>ალკოჰოლური სასმელების წარმოება</p> <p>მშენებლობა</p> <p>ქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>ნავთობქიმიური ნივთიერებების წარმოება</p> <p>სამთო მრეწველობა</p> <p>მძიმე მრეწველობა</p>
	<p>სასუნთქი სისტემა</p> <p>ჩასაყვინთი აღჭურვილობა</p>	<p>წყალქვეშა სამუშაოები</p>	<p>— მშენებლობა</p>

დახრჩობა	მთლიანი სხეული	— წყალზე ან წყალთან ახლოს მუშაობა	მეთევზეობა
	სამაშველო ჟილეტი	— ზღვაში მუშაობა	საავიაციო წარმოება
		— თვითმფრინავის ბორტზე მუშაობა	მშენებლობა
			გემთმშენებლობა ნავმისადგომები და პორტები

დანართი №4

არსებული სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული რისკების შეფასების საფუძველზე გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევის ფორმა

(ცხრილების შევსება თითოეული კონკრეტული სამუშაო პოზიციისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით ცალ-ცალკე უნდა განხორციელდეს)

სამუშაო პოზიციის მიხედვით რისკის შეფასების საფუძველზე გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები				
ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი:				
ობიექტის მისამართი:				
ფორმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი:				
სამუშაო პოზიცია	სამუშაო აქტივობების აღწერა	ამ სამუშაოდან გამომდინარე საფრთხეები (რისკები)	სხეულის დასაცავი ნაწილები	საფრთხიდან გამომდინარე გამოსაყენებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები